

გენდერი, როგორც ნარატიული კატეგორია მარიამ გარიყულისა და მიხეილ
ჯავახიშვილის მოთხრობებში

ნანა აბულაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე შედარებითი
ლიტერატურათმცოდნეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: უცხო ენათა ფილოლოგია და შედარებითი
ლიტერატურათმცოდნეობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლევან ცაგარელი,
პროფესორი, დოქტორი.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნანა აბულაძე, 20.06.2021

მადლობა

მადლობას ვუხდით ჩემს ხელმძღვანელს, ლევან ცაგარელს, გულისხმიერებისა და თანადგომისათვის.

მადლობა ჩემს ძვირფას მეგობარსა და კოლეგას, ნიკა გედევანიშვილს, რომელმაც თავისი პირადი ბიბლიოთეკიდან მარიამ გარიყულის მოთხოვნების ორი კრებული მომაწოდა.

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, გაირკვეს, რა მნიშვნელობა ენიჭება გენდერს, როგორც ნარატიულ კატეგორიას მარიამ გარიყულისა და მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობებში. შედარებითი ანალიზისთვის შერჩეულია თითოეული ავტორის ოთხი მოთხრობა (მარიამ გარიყულის მოთხრობები: *ვერ მიაღწია*, *შინ კი მიელოდნენ*, *ცაბუ*, *ნანიკო*; მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობები: *უპატრონო*, *ეკა*, *ყბაჩამ დაიგვიანა*, *ცხრა ქალწული*). ეს ტექსტები შეცდენისა და გაუპატიურების თემებზეა, ე.ი. პერსონაჟებს შორის არსებული იერარქიული მიმართებები, გარდა სოციალურისა და ეკონომიკურისა, გენდერულ ხასიათსაც ატარებს. ამის გამო გენდერის, როგორც ნარატიული კატეგორიის კვლევა მათ გასაანალიზებლად აუცილებელია. ნაშრომი ეყრდნობა ფემინისტური ნარატოლოგიისა და ფემინისტური თეორიის მეთოდოლოგიურ ჩარჩოს და მოიცავს როგორც ამბის, ასევე დისკურსის ასპექტების ანალიზს.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ორივე ავტორის ტექსტებში იერარქიული მიმართება ქალ და მამაკაც პერსონაჟებს შორის ერთი და იგივეა - მამაკაცი პერსონაჟი ეკონომიკური და სოციალური სტატუსით უპირატესია ქალზე, რაც ქალზე ძალადობის წინაპირობაა. განსხვავება ის არის, რომ მარიამ გარიყულის მოთხრობებში იერარქიული წესრიგი ცვალებადია, ხოლო მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობებში მიმართებები მყარი და უცვლელია. ამ განსხვავების განმაპირობებელი ფაქტორი ქალის, მისი როლებისა და თვისებების განსხვავებული რეპრეზენტაცია ქალ და მამაკაც ავტორთან.

არცერთ ავტორთან ქალი არ არის მთხრობელი, თუმცა მარიამ გარიყულის მოთხრობებში ქალი პერსონაჟები ფოკალიზატორები არიან. ამის საპირისპიროდ, მიხეილ ჯავახიშვილის ტექსტებში პერსპექტივა, უმეტესად, მამაკაცისაა. მარიამ გარიყულის მოთხრობებს ახასიათებს, აგრეთვე, პირობითი დასაწყისი და დასასრული, ღია ფინალი, რაც არ გვხვდება მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობებში.

საკვანძო სიტყვები: გენდერი, ქალური წერა, ისტერია, ფემინისტური ნარატოლოგია.

Abstract

The paper examines the function of gender as a narrative category in the stories by Mariam Gariquli and Mikheil Javakhishvili. The four stories of each author, which share the motive of rape and seduction, have been selected for the comparative analysis. The paper uses the theoretical framework of feminist narratology and feminist theory and compares the elements of both the story and the discourse. The paper aims to show the differences as well as the similarities between the works of a female and a male author.

The power relations between the male and the female characters are the same in the stories of both authors. However, in the stories by Mariam Gariquli the hierarchical structure is changeable, while in the stories by Mikheil Javakhishvili it is stable and unchangeable. This difference is due to the distinct representation of women, their roles and characteristics.

Neither of the authors use female narrators. In the stories of Mariam Gariquli, the female characters are focalizers, while Mikheil Javakhishvili mainly uses the male point of view. The stories of Mariam Gariquli, unlike those by Mikheil Javakhishvili, also begin at some point which is relative and conditional and have an open ending.

Key Words: Gender, *Écriture feminine*, Hysteria, Feminist Narratology.